

პროგრამა ხორციელდება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ და შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე.

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია და ზემოქმედების შერბილება ადგილობრივ დონეზე

სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობა

1. მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

სენაკის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 52 170 ჰა-ს. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, ჩრდილო-აღმოსავლეთით მარტვილის, სამხრეთით ლანჩხუთის, სამხრეთ-აღმოსავლეთით აბაშის და დასავლეთით ხობის მუნიციპალიტეტები.

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორია კოლხეთის დაბლობსა და მთისწინეთს მოიცავს. მთისწინეთის გორაკ-ბორცვიანი ტერიტორია დაფარულია ტყეებით. მუნიციპალიტეტის ჰავა ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია, თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა +13.8°C. წლის ყველაზე ცივი თვის, იანვრის, საშუალო ტემპერატურა +4.9 °C-ია, ხოლო ყველაზე თბილი თვის, აგვისტოსი, კი +23. °C. წელიწადში აქ საშუალოდ 1 620 მმ ნალექი მოდის, აქედან მაქსიმუმი – სექტემბერში ხოლო მინიმუმი იანვარში.

მუნიციპალიტეტში 63 დასახლებული პუნქტია, აქედან 1 ქალაქია და 62 სოფელი. მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობა 2012 წლის მონაცემებით შეადგენს 51 710 კაცს, აქედან ქალაქად დასახლებულია 26 900 კაცი, მათ შორის 7 120 დევნილია. სოფლად ცხოვრობს 24 800 კაცი. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 99 კაცი/კვ.კმ, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კვ.კმ) აღემატება.

სამუშაო ჯგუფის მიერ, მოსახლეობის ძირითადი შემოსავლის წყარო არის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები, საჯარო სამსახურები და ვაჭრობა. მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლებს ძირითადად უზრუნველყოფს: ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ქონების გადასახადი და მცირე მეწარმეობა. წარსულში მუნიციპალიტეტის ძირითად შემოსავლებს უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა (საკონსერვო, ღვინის და რძის ქარხნები, სხვა) და მრეწველობა (ხალიჩების ფაბრიკა, რკინა-ბეტონის კომბინატი, აგურის ქარხანა, სხვა).

სენაკის მუნიციპალიტეტს გააჩნია ეკონომიკური განვითარების 2010-2011წლის გეგმა, რომლის პრიორიტეტებია: სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა, რეკრეაციული ზონების ამუშავება თერმული წყლების გამოყენებით და ტურიზმი.

2. ბუნებრივი საფრთხეები

ბუნებრივი საფრთხეებიდან სენაკის მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია: ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი, ღვარცოფი, სანაპიროს წარეცხვა, გვალვა და მდ. ნაპირების ეროზია. მათგან ყველაზე ხშირია ძლიერი წვიმები, რასაც მოყვება წყალდიდობები, მდინარის ადიდების შედეგად ხდება მდინარისპირა ნათესებისა და საძოვრების წარეცხვა და განადგურება. გამგეობის ინფორმაციით, ბუნებრივი საფრთხეები, უკანასკნელ 10 წელიწადში, მომატებულია. მათ შორის გაძლიერდა ძლიერი ქარები და გახანგრძლივდა გვალვა.

მონაცემები სენაკის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი საფრთხის ქვეშ მოქცეული ტერიტორიების და დასახლებული პუნქტების შესახებ მოცემულია ცხრილებში #1 და #2.

ცხრილი 1 მონაცემები სენაკის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი საფრთხის ქვეშ მოქცეული ტერიტორიების შესახებ.

ბუნებრივი საფრთხე	მიწის კატეგორია	დაზიანებული ტერიტორია, ჰა	ფართობი საფრთხის ქვეშ, ჰა
მეწყერი	საცხოვრებელი ტერიტორია	სოფ: ზანა, ეკი, ხორში, ლეძამამე, ქ. სენაკი	
წყალდიდობა	სახნავ-სათესი/ბაღები	53ა	2003ა
წყალდიდობა/წყალმოვარდნა	მდინარის ნაპირები და ჭალები		1003ა
	სანაპირო ზონა	13ა	

2011წელს ძლიერი წვიმისა და წყალდიდობის შედეგად დაზარალდა 100 ოჯახი (დაიტბორა). სოფლებში: ზანა, ეკი, ხორში, ლეძამამე მეწყერმა დააზიანა 28 ოჯახი, რომლებიც საფრთხის ქვეშ იმყოფებიან.

ცხრილი 2 მონაცემები სენაკის მუნიციპალიტეტში ბუნებრივი საფრთხის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის შესახებ.

ბუნებრივი საფრთხე	ადგილმდებარეობა	საცხოვრებელი შენობების რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა
ძლიერი ქარი	ქალაქი სენაკი, სოფლები: თეკლათი, ძველი სენაკი, ზანა, ეკი, მუხური.	100	2 000 კაცი
მეწყერი	სოფ: ზანა, ეკი, ხორში, ლეძამამე	28	28 ოჯახი
წყალდიდობა / წყალმოვარდნა	რიონისპირა და ტეხურისპირა სოფლები	100	100 ოჯახი

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის არა მარტო საცხოვრებელ სახლებს, არამედ საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურასაც. წყალდიდობა და მეწყერი თითქმის ყველა სოფელში აზიანებს შიდა სასოფლო გზებს. ასე მაგალითად, 2011წელს წყალდიდობამ

დააზიანა სოფლის გზები და ხიდები ლეძამამეში, უშაფათში, ფოცხოში და ხორშაში. გამგეობას არ გააჩნია ზუსტი ინფორმაცია ბუნებრივი საფრთხეების ზონაში მოქცეული ტერიტორიების შესახებ.

სენაკის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია ბუნებრივი საფრთხეების მიერ ბოლო 10 წელიწადში მიყენებული ზიანის ეკონომიკური გაანგარიშება, თუმცა ეკონომიკური ზარალის ოდენობაზე წარმოდგენა შეიძლება შეიქმნას იმის საფუძველზე, რომ მხოლოდ 2011 წელს სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანი შეფასდა 300 000 ლარით.

მართალია, მუნიციპალიტეტში არის მეტეოროლოგიური სადგური, მაგრამ არ ხდება ინფორმაციის მიწოდება კლიმატური პირობებისა და ბუნებრივი საფრთხეების შესაძლო ცვლილებებზე.

სენაკის მუნიციპალიტეტში არ არსებობს კატასტროფების წინასწარი შეტყობინების სისტემა, ხოლო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელია სამაშველო სამსახური. გამგეობის ინფორმაციით, სენაკის მუნიციპალიტეტს გააჩნია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომელიც მოიცავს, ხანძრებს, წყალდიდობას და მეწყერს, თუმცა ადგილობრივ ხელისუფლებას არ გააჩნია ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების რესურსი და ის დახმარებას იღებს რეგიონალური სამაშველო სამსახურიდან .

ბოლო 10 წლის განმავლობაში, ბუნებრივი კატასტროფების შედეგების აღმოსაფხვრელად, სტიქიის შედეგების შესარბილებლად და პრევენციისთვის ხდება ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება მდ.რიონის, მდ. ტეხურის და მდ.ცივის ნაპირებზე - ძირითადად ჯებირების გამაგრება.

გამგეობის თანამშრომელთა აზრით, მიწათსარგებლობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების სივრცითი დაგეგმარებისას და საინჟინრო პროექტების მომზადებისას, ბუნებრივი კატასტროფების რისკების გათვალისწინება ხდება.

3. სოფლის მეურნეობა და სურსათის უსაფრთხოება.

მიწის რესურსი

სენაკის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა წამყვანი ეკონომიკური საქმიანობაა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს 21 912 ჰექტარი, მათ შორის სახნავ-სათესი მიწებია 11 808 ჰა, საძოვრები - 6 907 ჰა, სათიბი - 9 ჰა, მრავალწლიან ნარგავებს კი 4 069 ჰა უკავია.

გამგეობის წევრთა ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი უმნიშვნელოდ შემცირდა. კერძოდ, მდინარის ნაპირების წარეცხვის გამო დაიკარგა 5 ჰა სახნავ-სათესი მიწა. საზოგადოდ, ვინაიდან სახნავ-სათესი მიწების დიდი უმეტესობა მდინარის გასწვრივ მდებარეობს, ეს ფართობები მდინარის წარეცხვის შედეგად ზიანდება.

მემცენარეობა

მემცენარეობა სენაკის მუნიციპალიტეტში წამყვანი დარგია. პრიორიტეტული კულტურებია: სიმინდი, ლობიო, სოიო; მრავალწლიანი ნარგავებიდან მოყავთ თხილი, ხურმა, ციტრუსები, დაფნა და კვი. სიმინდის მოსავლიანობაა 1,7-2 ტ/ჰა, სოიოსი - 0.4

ტ/ჰა, ლობიოს - 1.2 ტ/ჰა, თხილის - 1.5 ტ/ჰა, ხოლო ხურმის მოსავლიანობა შეადგენს 15 ტ/ჰა-ს.

სენაკის გამგეობის ინფორმაციით, მცენარეთა მოსავლიანობა ბოლო ათწლეულის განმავლობაში შემცირდა. მოსავლიანობის შემცირების მიზეზებად სამუშაო ჯგუფის მიერ დასახელებული იქნა: დაბალპროდუქტიული სათესლე მასალა, მავნებლებთან, სარეველებთან და დაავადებებთან ბრძოლის არაეფექტური გზები და კულტურების ადგილმონაცვლეობის უგულვებელყოფა. ბოლო წლებში სიმინდის და თხილის მოსავლის შემცირება გამოიწვია მავნებლების (დეროს ფარვანას და ამერიკული პეპელას) მომრავლებამაც. ამასთან, მოსავლიანობის შემცირება დაჭაობების გამოც ხდება. მაგ. სოფლებში ჭალადიდი, თეკლათი და ახალსოფელი მეორადი დაჭაობება განიცადა 575ჰა-მა ფართობმა. მუნიციპალიტეტში ხშირია წყალდიდობები, რაც მკვეთრად ამცირებს მოსავლიანობას. ამას გარდა, ბოლო პერიოდში გახშირებული წვიმები მოსავლიანობის შემცირების მიზეზი ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ჰიდრო-მეტეოროლოგიური სადგური, ოფიციალურ ინფორმაციას ვეგეტაციის პერიოდის ცვლილების შესახებ გამგეობა არ ფლობს. მათი ვარაუდით, ვეგეტაციის პერიოდი შეცვლილია, რადგან ხეხილი უკვე თებერვალში იწყებს ყვავილობას, როცა ადრე აპრილ-მაისში ყვავდა.

სენაკის მუნიციპალიტეტში ს/ს ნაკვეთები მეტწილად მორწყვას არ საჭიროებს; თუმცა, ხანდახან ადგილი აქვს გვალვებს, რის გამოც მოსავლიანობა მცირდება. რადგანაც დასავლეთ საქართველოში ტემპერატურის და გვალვიანობის მატება შეიმჩნევა, დროთა განმავლობაში ირიგაციის სისტემების არქონა შესაძლოა პრობლემატური გახდეს.

სენაკის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო მიწების 30% (2 800ჰა) საჭიროებს დრენაჟს. მუნიციპალიტეტში არის სადრენაჟე სისტემები, თუმცა გამოსულია მწყობრიდან და ესაჭიროებათ რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის დაჭაობებული ადგილები, სადაც სადრენაჟე სისტემა საერთოდ არაა. ასეთი ტერიტორიები მოიცავს 575ჰა-ს.

მეცხოველეობა

მეცხოველეობა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული დარგია სენაკის მუნიციპალიტეტში, სადაც სათიბ-სადოვარს დაახლოებით 6 920ჰა უკავია. 2012 წლის მდგომარეობით, ადგილობრივი მოსახლეობის მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა 21 240 სულს შეადგენს. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მათი სულადობა გაიზარდა 800-1 000 სულით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საძოვრებზე სხვა მუნიციპალიტეტებიდან პირუტყვი არ შემოყავთ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძირითადად ზამთრის საძოვრებია, ნაკლებადაა სათიბები. მესაქონლეები ბოლო 10 წლის მანძილზე განიცდიან საძოვრების დეფიციტს. ამის მიზეზი არის საძოვრების მიწათსარგებლობის კატეგორიის შეცვლა. მოსახლეობა ამ ტერიტორიებს იყენებს სახნავ-სათესად და თხილის პლანტაციების გასაშენებლად. გარდა ამისა, ჭარბი ძოვების გამო ადგილი აქვს სათიბ-საძოვრების დეგრადაციას. სამუშაო ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტის საძოვრების ერთ ჰექტარზე ადგილობრივი მოსახლეობის 3 სული მსხვილფეხა პირუტყვი მოდის. მიუხედავად ამისა, მესაქონლეები არანაირ ღონისძიებებს არ მიმართავენ სათიბ-საძოვრების შესანარჩუნებლად, მათ შორის არც ნაკვეთმონაცვლეობით ძოვებას

მიმართავენ, მუნიციპალიტეტის საძოვრებისთვის შეფასებული არ არის ძოვების ნორმები, ანუ რამდენი სულის და რა ხანგრძლივობითაა დაშვებული საქონლის ძოვება ამა თუ იმ კონკრეტულ საძოვარზე. ფერმერებს არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა საძოვრების მართვისა და მოვლის თანამედროვე მეთოდების შესახებ.

ბოლო 10 წლის მანძილზე მსხვილფეხა პირუტყვის დანაკარგის ზრდას ჰქონდა ადგილი გახანგრძლივებული ზამთრის გამო, რამაც გამოიწვია საკვების უკმარისობა და პირუტყვის შემცირება. ვეტერინარული მომსახურეობის ნაკლებობის გამო იყო ეპიდემიის შემთხვევები, ჯილეხით დაავადების შემთხვევები იყო სოფელ თეკლათში, მენჯში და ახალსოფელში შესაბამისად, ხორცპროდუქტიულობა გამგეობის ინფორმაციით შემცირდა, მაგრამ რამდენით ზუსტი ინფორმაცია არ გააჩნიათ. მათივე ცნობით, საქონლის წველადობა გაიზარდა სულადობის გაზრდის ხარჯზე.

პროექტები და სერვისები

სენაკის მუნიციპალიტეტში არსებობს სასოფლო-სამეურნეო სერვისები, როგორცაა ვეტერინარული სამსახური, რომელიც ხელმისაწვდომი არაა სოფლის მოსახლეობისთვის. 2005 წლამდე სოფლებში არსებობდა ვეტპუნქტები და ადგილობრივ მოსახლეობას არ უხდებოდა ქალაქში სპეციალურად ჩამოსვლა. ეხლა ვეტმომსახურეობა არასაკმარისია. მუნიციპალიტეტში არის შპს-ფერმერთა მომსახურების ცენტრი, სადაც შესაძლოა აგრონომიული მომსახურეობა.

სენაკის მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი სასოფლო სამეურნეო სამსახურები, რომელთაც შეუძლია ხელი შეუწყოს ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის გავრცელებას. მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური ახალი შექმნილია.

სასოფლო-სამეურნეო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სხვადასხვა პროექტები: შემოტანილ იქნა გვალვაგამძლე კულტურები, როგორცაა სიმინდი-პიონერი, რომელმაც არ გაამართლა. 2. კერძო ორგანიზაციამ ჰოლანდიიდან შემოიყვანა მაღალპროდუქტიული შინაური პირუტყვი. 3. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა განხორციელეს პროექტები ფერმერებში ცოდნის გავრცელების მიზნით: აგროქიმიკატების მოხმარების თანამედროვე მეთოდების შესახებ. და პირუტყვის კვების გაუმჯობესების შესახებ. 5. კერძო ორგანიზაციამ გახსნა სასოფლო-სამეურნეო საკონსულტაციო ცენტრი.

სენაკის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო საკითხების მონიტორინგზე და შესაბამის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური, რომელიც ახალი შექმნილია და არა გააჩნია დეტალური ინფორმაციები.

4. ტყის რესურსები

მუნიციპალიტეტში ტყის ფართობი შეადგენს 16 214 ჰა-ს, აქედან 3 789 ჰა არის კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორია. ნაწილს მინიჭებული აქვს ტყეკაფის სტატუსი. სატყეო მიწები არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს ტყის სოციალურ ჭრას. ჭრები მიმდინარეობს ჭალისპირა ტყეებში და დაბალი მთის ტყეებში. მერქნის დამზადების წლიური ლიმიტი სოციალური ჭრებისთვის, ერთი კომლისთვის დაბლობში შეადგენს 7მ³-ს; ხოლო მთიან

ზონაში 12მ³-სწელიწადში. ტყე 35⁰-ზე მეტი დაქანების ფერდობებიდან არ იჭრება. ბოლო 10 წლიან პერიოდში ტყის ჭრის ტენდენცია შემცირებულია 10%-ით, რაც გაზიფიკაციის შედეგია.

სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილი აქვს ტყის უკანონო ჭრის შემთხვევებს, თუმცა ბოლო პერიოდში ასეთი შემთხვევები შემცირებულია, თუ რა მოცულობითაა შემცირებული ზუსტი ინფორმაცია არ მოიპოვება.

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 384 ჰა-ზე ისტორიულად არსებობდა ქარსაცავი ზოლები, თუმცა მისი ფართობი მნიშვნელოვნად შემცირდა. გამგეობა არ ფლობს ინფორმაციას ქარსაცავი ზოლების ბოლო ინვენტარიზაციის შესახებ, ქარსაცავი ზოლების აღდგენა-გაშენება მუნიციპალიტეტში არ ხორციელდება და მსგავსი ღონისძიებები არ არის დაგეგმილი.

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტყის ხანძრებს ადამიანთა დაუდევრობის გამო ჰქონდა ადგილი. სოფლების: ზანა, ეკი, ლეძამამე, ძველი სენაკიმის მიმდებარე ტერიტორიაზე ბოლო წლების განმავლობაში ხანძრების 43 შემთხვევა დაფიქსირდა, რის შედეგადაც განადგურდა 27ჰა ტყე.

მუნიციპალიტეტში არ ხდება ტყის ბუნებრივი აღდგენის მონიტორინგი. ტყის გაკაფულ ადგილებში მთის ფერდობებზე, სოფლის მიმდებარედ, ადგილი აქვს მეწყერებისა და ღვარცოფების წარმოქმნას. ხოლო მდინარის ნაპირებზე განხორციელებული ჭრების შედეგად ხდება მდინარის ნაპირების გარეცხვა და ეროზია.

ბოლო 10 წლისა და უფრო მეტი ხნის მანძილზე სენაკის მუნიციპალიტეტში არ მომხდარა ტყეების ბუნებრივი აღდგენის მონიტორინგი და არ ჩატარებულა ტყეების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები. ასევე არ განხორციელებულა ტყეების გაშენების პროექტები.

სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის არც კერძო და არც მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სანერგეები. უახლოესი სანერგეები, მდებარეობს ზუგდიდში. სამუშაო ჯგუფის წევრთა ვარაუდით, მსგავსი სანერგეების არსებობა ხელს შეუწყობდა ტყეების აღდგენასა და ტყეების განშენიანებას.

5. წყლის რესურსები და წყალმომარაგება

სენაკის მუნიციპალიტეტს ზომიერი წყლის რესურსი გააჩნია, როგორც ზედაპირული ასევე მიწისქვეშა, თუმცა მათი რესურსი შეფასებული არაა. მუნიციპალიტეტში არსებობს ჭარბტენიანი ტერიტორიები.

სენაკის მუნიციპალიტეტის ძირითადი მდინარეებია ტეხური, ცივი, რიონი და ხობისწყალი. გამგეობის ინფორმაციით, ნაქალაქევში არის მოქმედი ჰიდრო-მეტეოროლოგიური სადგური. მაგრამ ხდება თუ არა ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის მონიტორინგი გამგეობა ინფორმაციას არ ფლობს. შესაბამისად, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ჰიდროლოგიური პარამეტრების ცვლილების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არა აქვთ. მათი აზრით, მდინარეების წლიური ხარჯი შემცირებულია, გაზრდილია წყალდიდობის სიხშირე და წყალდიდობის დროს მდინარეების ხარჯი. მდინარეების წყალდიდობის პერიოდი არ შეცვლილა. მათი აზრით, მიწისქვეშა წყლების დონე არ შეცვლილა.

სენაკის მუნიციპალიტეტში ზედაპირული წყალი ძირითადად გამოიყენება მოსახლეობის წყალმომარაგებისთვის. მოსახლეობის ნაწილი, რომელიც დარჩენილია ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის გარეშე, მიწისქვეშა წყლებს მოიხმარს წყალმომარაგებისთვის, რისთვისაც მოწყობილი აქვთ ჭები. მუნიციპალიტეტში ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ხარისხის მონიტორინგი არ ხდება, რის გამოც ოფიციალური ცნობები წყლების დაბინძურების შესახებ არ არსებობს.

სენაკის მუნიციპალიტეტში არის ჭარბტენიანი ტერიტორია, ჭაობი, რომლის ფართობი შეადგენს 5753ა-ს. ჭარბტენიანი ტერიტორიების ფართობი ბოლო 10 წელიწადში არ შეცვლილა. სენაკის მუნიციპალიტეტს არა აქვს ჭაობების დაშრობის გეგმა.

6. მდინარის ნაპირების დინამიკა

მუნიციპალიტეტში მდინარეების კალაპოტებიდან ხდება ინერტული მასალის მოპოვება, მაგრამ სამუშაო ჯგუფს მოპოვებული ინერტული მასალის მოცულობის შესახებ ინფორმაცია არ აქვს. ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე ლიცენზიებს გასცემს გარემოს დაცვის სამინისტრო და აღრიცხვას აწარმოებს ეკონომიკის სამინისტრო.

ინერტული მასალის კარიერებთან ახლოს, მდინარის ნაპირების გასწვრივ, შეინიშნება მდინარის ნაპირების ეროზია/წარეცხვა, რის შედეგადაც ზიანდება გზები, ხიდები. ასევე ხდება ინერტული მასალის დაგროვება. მდ. რიონზე ნაპირების და კალაპოტის ეროზიის გამო დამბები წაიღო წყალმა. ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად ტარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები. ეწყობა გაბიონები.

მდინარის ნაპირებისა და კალაპოტის, მდინარიდან ინერტული მასალის მოპოვების მონიტორინგი ადგილობრივ დონეზე არ ხორციელდება. ამას ახორციელებს გარემოს დაცვის სამინისტრო. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ადგილობრივი საკრებულოები პერიოდულად ამოწმებენ მდინარის ნაპირებთან არსებულ საიჟინრო ნაგებობების მდგომარეობას.

7. ინდუსტრია/წარმოება

სენაკის მუნიციპალიტეტში ინდუსტრია ცუდადაა განვითარებული. ფუნქციონირებს რამდენიმე კერძო საწარმო: მცირე წარმადობის მქონე წისქვილ-კომბინატი, ერთი ხის დამამუშავებელი საწარმო და ასფალტობეტონის ქარხანა. ყველა მათგანში დამონტაჟებულია წყლის მრიცხველები. საწარმოებში არ ხდება წყლის ცირკულაცია და არ იყენებენ ენერგო-ეფექტურ ტექნოლოგიებს. საწარმოებს არ გააჩნიათ ნარჩენების მართვის გაუმჯობესების გეგმები.

8. ნარჩენების მართვა

სენაკის მუნიციპალიტეტში არის დასუფთავების სამსახური, რომელიც ახდენს ქალაქ სენაკის დასახლებაში ნარჩენების შეგროვებას და მის განთავსებას პოლიგონზე, რომელიც ქალაქიდან მოშორებით, სოფ. ტყივის ტერიტორიაზეა განთავსებული. მუნიციპალიტეტში არის ერთი ლეგალური ნაგავსაყრელი, რომელიც არ არის ლიცენზირებული და დროებით ნაგავსაყრელს წარმოადგენს. წელიწადში ქალაქის ტერიტორიაზე საშუალოდ ხდება 18 000-20 000მ³ ნარჩენის შეგროვება. სენაკის მუნიციპალიტეტში, ბოლო 10 წლის

განმავლობაში, გამგეობის ინფორმაციით შეგროვებული ნარჩენების მოცულობა 2-ჯერ გაიზარდა. ადმინისტრაციულ ერთეულში არ არსებობს გადამუშავებადი ნარჩენების შემგროვებელი პუნქტები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს არალეგალური ნაგავსაყრელები, თუ რა რაოდენობის ნარჩენი იყრება ამ ნაგავსაყრელებზე, შეფასებები არ არსებობს. სენაკის მუნიციპალიტეტში. რეალურად რა მოცულობის ნარჩენები წარმოიქმნება, შეფასებები არ არსებობს.

2012წ-ს მუნიციპალიტეტში განხორციელდა ნარჩენების მართვის პროექტი, რაც გამოიხატება დასუფთავების სამსახურის ტექნიკით უზრუნველყოფაში, ქალაქის ტერიტორიაზე ნაგვის ურნების განთავსებაში.

9. გენდერი

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები თვლიან, რომ სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობის შემცირება თანაბრად მტკივნეულად აისახება როგორც ქალზე, ასევე მამაკაცზე, ვინაიდან ორივე ძირითადად დამოკიდებულია სოფლის მეურნეობიდან მიღებულ პროდუქციაზე და ის არის მათი ძირითადი საარსებო წყარო. თვლიან, რომ წყლის დეფიციტი უფრო მეტად მოახდენს გავლენას ქალზე. ხოლო რაც შეეხება ტყის რესურსებს, გამგეობაში ფიქრობენ, რომ ტყის რესურსების შემცირება მამაკაცზე უფრო მტკივნეულად აისახება, ვიდრე ქალზე და ამას ხსნიან იმით, რომ მამაკაცები დასაქმებულები არიან ხე-ტყის მოპოვებით. კლიმატის ცვლილების მიმართ კი ქალი უფრო მგრძობიარეა.

10. ადგილობრივი მმართველობა

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებს არასდროს გაუვლიათ ტრენინგი კლიმატის ცვლილების საკითხებზე. ისინი არ იცნობენ „საქართველოს მეორე ეროვნულ შეტყობინებას კლიმატის ცვლილებაზე“.

გამგეობის წარმომადგენლების შეფასებით, სენაკის მუნიციპალიტეტს კლიმატის ცვლილებების მიმართ მოწყვლადს ხდის: ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა, ტყის მასივების აღდგენასთან დაკავშირებული პრობლემები; მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და მოსახლეობის დაბალი ცნობიერება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით.

სენაკის მუნიციპალიტეტში ბოლო 10 წელიწადს განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები, რომელიც ხორციელდებოდა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ძირითადად მოიცავს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციას, ნაპირსამაგრ სამუშაოებს, საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციას, შიდა სასოფლო გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას, ფერმერებისთვის საკონსულტაციო მომსახურების შექმნას და ნარჩენების მართვის გაუმჯობესებას.

11. დასკვნები და რეკომენდაციები

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგების შეფასების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მოწყვლადობა კლიმატის ცვლილებებისადმი შეიძლება დაუკავშიროთ შემდეგ საკითხებს:

ბუნებრივი საფრთხეები - სენაკის გეოლოგიური პირობები განაპირობებს დამეწყვრის, ეროზიისა და მდინარის ნაპირების წარეცხვის მაღალ რისკებს. თუმცა, როგორც ჩანს, ამ ბუნებრივი საფრთხეების რისკები მნიშვნელოვნად გაზრდილია ანთროპოგენული ზემოქმედების გამო, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ჭარბი ძოვება, მდინარეთა კალაპოტის არასწორი მართვა და ტყის ჭრა.

მუნიციპალიტეტისთვის ასევე სახასიათოა ძლიერი ქარები, რომელთა სიხშირე და ინტენსივობა ასევე შეიძლება გაიზარდოს ტყის ჭრის გამო.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მეწყერი და მდინარეთა ნაპირების ეროზია საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, მათ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას.

სენაკის მუნიციპალიტეტისთვის ჯერ-ჯერობით არაა შეფასებული მოსალოდნელი ცვლილებები კლიმატში, თუმცა საერთო ტენდენციიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ მომავალში კლიმატური ცვლილებები კიდევ უფრო გაამწვავებს ჩამოთვლილ საკითხებს და გაზრდის მუნიციპალიტეტის მოწყვლადობას ბუნებრივი საფრთხეების მიმართ.

სოფლის მეურნეობა - დღეისთვის სოფლის მეურნეობა სენაკის მუნიციპალიტეტში წამყვანი ეკონომიკური საქმიანობაა. მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტში მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა ჭარბია მათ ხელთ არსებული სათიბ-სადოვრების რესურსთან შედარებით. ამისი ინდიკატორია სათიბ-სადოვრების ეროზია გადამოვების შედეგად. და მოსახლეობის მიერ სადოვრების სახნავ-სათესად გამოყენება. მიუხედავად სათიბ-სადოვრების სიმცირისა და დეგრადაციისა, მათი მოვლა-შენარჩუნებისთვის მუნიციპალიტეტში არავითარ ღონისძიებებს არ მიმართავენ.

მუნიციპალიტეტში ცუდადაა განვითარებული სოფლის მეურნეობის სამსახური, რომელიც შესძლებდა სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას.

ტყის რესურსები - სენაკის მუნიციპალიტეტში ტყის რესურსებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემებია: ტყის ჭრა, მათ შორის უკანონო და ქარსაცავი ზოლების მნიშვნელოვანი შემცირება. ამასთან, ტყეების აღდგენა-განაშენიანება პრაქტიკულად არ ხდება.

წყლის რესურსები და წყალმომარაგება - სენაკის მუნიციპალიტეტში წყლის რესურსი საკმარისია მასზე არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; წყლის ხარისხის მონიტორინგი არ ხდება.

თუმცა, მუნიციპალიტეტში მაინც არსებობს წყალმომარაგების (მ.შ. სარწყავი წყლის) პრობლემა, რაც წყალმომარაგების/სარწყავი სისტემების ცუდ მდგომარეობას ან არარსებობას უკავშირდება. მუნიციპალიტეტში არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, რომლებიც საჭიროებს დრენაჟს, მაგრამ სადრენაჟე სისტემები ცუდ მდგომარეობაშია და საჭიროებს რეაბილიტაციას.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოები - მუნიციპალიტეტში გარკვეული საქმიანობა ხორციელდება კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისთვის. თუმცა, ასეთი საქმიანობა საკმაოდ მცირემასშტაბიანია და ძირითადად რეაქციულ ხასიათს ატარებს, ანუ შედეგების აღმოფხვრაზეა ორიენტირებული. მუნიციპალიტეტში რიგი პრევენციული ღონისძიებებიც ტარდება, როგორცაა: ნაპირსამაგრი სამუშაოები, ინერტული მასალის ამოღება მდინარის კალაპოტიდან, სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია, წყალმომარაგების რეაბილიტაცია, სხვა. კლიმატის ცვლილებების შესარბილებლად კი მიმდინარეობს ნარჩენების მართვის გაუმჯობესება, თუმცა მცირე მასშტაბებში.

როგორც წესი, მუნიციპალიტეტის გამგეობას არასრული ინფორმაცია გააჩნია ისეთი საკითხების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის სენსიტიურობა კლიმატის ცვლილების მიმართ და როგორებიცაა ბუნებრივი კატასტროფები, სოფლის მეურნეობა, წყლის რესურსები და წყალმომარაგება, ტყის რესურსები. ეს ზღუდავს მათ შესაძლებლობას გაანალიზონ მოსალოდნელი საფრთხეები, ასევე დაგეგმონ და განახორციელონ პრევენციული ღონისძიებები.

რეკომენდაციები

კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებისთვის მუნიციპალიტეტში რეკომენდირებულია შემდეგი ზომების გატარება:

- ქარსაცავი ზოლების აღდგენა (რაც თვითმმართველობის პრიორიტეტიც იყო), რაც შეამცირებს ქარების ზემოქმედებას და ხელს შეუწყობს ტემპერატურული რეჟიმის დარეგულირებას მაღალი სიცხეებისას
- სათიბ-სამოვრების ეროზიის პრევენცია, რისთვისაც რამდენიმე მეთოდის გამოყენება შეიძლება. უპირველეს ყოვლისა სასურველია დადგინდეს რეალურად რა რაოდენობის პირუტყვის მოვებაა დასაშვები კონკრეტული სამოვრებისთვის და შეძლებისდაგვარად დაცული იქნას ეს ნორმები. ამას გარდა, სასურველია დაინერგოს მონაცვლეობითი მოვება, მეცხოველეები გადავიდნენ ნაწილობრივ ბაგურ კვებაზე (რაც მათ წველადობაზეც აისახება) ასევე მოხდეს სათიბ-სამოვრების ტერიტორიების დაცვა, რათა არ მოხდეს მათი სახნავ-სათეს მიწებად გადაკეთება.
- ეროზირებული სათიბ-სამოვრების აღდგენა, რისთვისაც შესაძლებელია განხორციელდეს ბალახის თესვა, დროებით შეიზღუდოს მოვება ეროზირებულ მონაკვეთებზე და სხვა.
- მდინარის კალაპოტის მართვის მეთოდების შეფასება, რათა დადგინდეს თუ რომელი მეთოდებია უფრო ეფექტური მოსალოდნელი კატასტროფების რისკების შესამცირებლად.
- მონაცემთა ბაზის წარმოება ბუნებრივი საფრთხეების და მათ მიერ მიყენებული ზარალის, სოფლის მეურნეობის, წყლის რესურსების, ტყის რესურსების დანარჩენების მართვის შესახებ, რათა არსებობდეს მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების სრული სურათი და შესაძლებელი იყოს ამ გამოწვევების საპასუხო საქმიანობის დაგეგმვა.
